საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 6 მაისის
დადგენილება № 445

სტუ-ს დეკანების უფლებამოსილების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2011 11 მაისიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტების დეკანები: ზურაბ გედენიძე (სამშენებლო ფაკულტეტი), გია არაბიძე (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი), ანზორ აბშილავა (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი), ნუგზარ წერეთელი(ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი), ოთარ გელაშვილი (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი), გოჩა მიქიაშვილი (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი), რუსუდან ქუთათელაძე (ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი), ხოლო 2011 წლის 18 მაისიდან, ზურაბ წვერაიძე, (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფალულტეტი) გათავისუფლდნენ დეკანების ადმინისტრაციული თანამდებობიდან;
2. დეკანების არჩევნები ჩატარდეს თანდართული გრაფიკის მიხედვით (იხ. დანართი);
3. ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელოს და შეარჩიოს არჩევნების დამთავრებამდე დეკანის ფუნქციების შემსრულებლის კანდიდატურა;
4. ფაკულტეტის საბჭომ შეიმუშაოს დეკანის ფუნქციების შემსრულებლის შერჩევის რეგლამენტი.
5. არჩევნები ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების და “მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ”სტუ-ს დებულების შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების არჩევნების გრაფიკი

<table>
<tr><th>№</th><th>პროცედურის
დასახელება
ფაკულტეტი დასახელება</th><th>არჩევნების
გამოცხადება</th><th>რეგისტრაციის
ვადები</th><th>არჩევნების
ჩატარება</th></tr>
<tr><td>1</td><td>სამშენებლო ფაკულტეტი</td><td rowspan="7">11.05.2011</td><td rowspan="8">8.08.2011 – 29.08.2011</td><td rowspan="8">28.09.2011</td></tr>
<tr><td>2</td><td>ენერგეტიკისა და ტელეკომუნი-კაციის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>3</td><td>სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>4</td><td>ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტა-ლურგიის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>5</td><td>სატრანსპორტო და მანქანათმშენებ-ლობის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>6</td><td>არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>7</td><td>ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>8</td><td>ინფორმატიკისა და მართვის სისტე-მების ფაკულტეტი</td><td>18.05.2011</td></tr>
</table>